ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 22. 0. 4.2021 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №167-ს
ქ. თ ბ ი ლ ი ს ი

რექტორის 2020 წლის 17 ივლისის N224-ს ბრძანებაში „აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი (ბაკალავრიატი), მეორე (მაგისტრატურა) და მესამე (დოქტორანტურა) საფეხურების 2020 - 2021 სასწავლო წლის ადმინისტრირების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-12 მუხლის, პანდემიის პირობებში შექმნილი რეალობის გათვალისწინებითა და სასწავლო დაწესებულებების მიმართ დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება რექტორის 2020 წლის 17 ივლისის N224-ს ბრძანებაში „აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი (ბაკალავრიატი), მეორე (მაგისტრატურა) და მესამე (დოქტორანტურა) საფეხურების 2020 - 2021 სასწავლო წლის ადმინისტრირების შესახებ“ და ბრძანების პირველი პუნქტის დანართები 2020 - 2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ნაწილში ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ (ბაკალავრიატი) და მესამე (დოქტორანტურა) საფეხურებზე დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე (მაგისტრატურა) საფეხურზე დანართი N2-ის შესაბამისად.

2. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა

მომსახურების სამმართველოს; საგამოცდო ცენტრს; ბუღალტერიას; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს; ენების ცენტრს.

3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე და აღსრულება დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი (ბაკალავრიატი) და მესამე (დოქტორანტურა) საფეხურები

1. **გაზაფხულის სემესტრი:**

2021 წლის 22 თებერვალი - 17 ივლისი

- **ადმინისტრაციული რეგისტრაცია** - 2021 წლის 22 თებერვალის ჩათვლით;
- **აკადემიური რეგისტრაცია** - 2021 წლის 8 თებერვალი - 1 მარტი;

საუდიტორიო მეცადინეობა - 2021 წლის 22 თებერვალი - 19 ივნისი;
შუალედური გამოცდები - 2021 წლის 5 -17 აპრილი;
ძირითადი და დამატებითი გამოცდების ჩატარება და შეფასება - 2021 წლის 21 ივნისი - 17 ივლისი;

აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის დოქტორანტურის დამამთავრებელი სემესტრის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

- **სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა** - 2021 წლის 22 -26 მარტი;
- **სადისერტაციო ნაშრომის დაცვა** - 2021 წლის 17 ივლისის ჩათვლით;

სააღდგომო არდადეგები - 2021 წლის 26 აპრილი - 3 მაისი;
საგაზაფხულო არდადეგები - 4 -11 მაისი
საზაფხულო არდადეგები - 2021 წლის 19 ივლისიდან;

აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე (მაგისტრატურა) საფეხური

2. **გაზაფხულის სემესტრი:**

2021 წლის 1 მარტი - 24 ივლისი

- **ადმინისტრაციული რეგისტრაცია** - 2021 წლის 1 მარტის ჩათვლით;
- **აკადემიური რეგისტრაცია** - 2021 წლის 6 მარტის ჩათვლით;

საუდიტორიო მეცადინეობა - 2021 წლის 1 მარტი - 126 ივნისი;
შუალედური გამოცდები - 2021 წლის 12 -24 აპრილი;
ძირითადი და დამატებითი გამოცდების ჩატარება და შეფასება - 2021 წლის 28 ივნისი -24 ივლისი;
სააღდგომო არდადეგები - 2021 წლის 26 აპრილი - 3 მაისი;
საგაზაფხულო არდადეგები - 4 -11 მაისი
საზაფხულო არდადეგები - 2021 წლის 24 ივლისიდან;

უქმე დღეები:

გაზაფხულის სემესტრი:

- **3 მარტი** - დედის დღე (ოთხშაბათი)
- **8 მარტი** - ქალთა საერთაშორისო დღე (ორშაბათი)
- **9 აპრილი** - ეროვნული ერთიანობის დღე (პარასკევი)
- **9 მაისი** - ფაშიზმზე გამარჯვების დღე (კვირა)
- **12 მაისი** - წმ. ანდრია მოციქულის ხსენების დღე (ოთხშაბათი)
- **26 მაისი** - დამოუკიდებლობის დღე (ოთხშაბათ